

გურამ დოჩანაშვილის პოეტური დებიუტი

ახალი წიგნის პრეზენტაციას თიბისი გალერეა უმასპინძლებს

24 ნოემბერს, 18:00 საათზე, თიბისი გალერეაში კლასიკოსი ქართველი მწერლის, გურამ დოჩანაშვილის ახალი წიგნის „ნაწარმოებთა სრული კრებული“ მეშვიდე ტომის პრეზენტაცია გაიმართება, რომლის საშუალებითაც დოჩანაშვილის, როგორც პოეტის, ერთგვარი დებიუტიც შედგება.

წიგნში შესულია ერთადერთი პოეტური ნაწარმოები, სახელწოდებით „მოწყალებანი“, რომელიც გურამ დოჩანაშვილმა დაახლოებით 40 წლის წინ შექმნა და რომელიც არასოდეს გამოქვეყნებულა. შესაბამისად მკითხველს მისი წაკითხვის საშუალება პირველად მიეცემა.

გარდა მხატვრული ნაწილისა, ამ გამოცემაში შესულია გურამ დოჩანაშვილის მიერ სხვადასხვა დროსა და შემოქმედებით ეტაპზე დაწერილი წერილები, ჩანაწერები, საუბრები ლიტერატორებთან, (მათ შორის ინტერვიუ ნიკო ჭავჭავაძესთან, გიორგი შატერაშვილთან, იოსებ ნონეშვილთან და ა.შ). ამავე ტომში მკითხველი ნახავს გურამ დოჩანაშვილის ბოლოდროინდელ პროზაულ ნაწარმოებს „არის და იყო უცნაური, ადამიანიც, წუთისოფელიც“, რომელიც მწერალმა დაახლოებით სამი წლის წინ, ცალკე წიგნად გამოაქვეყნა.

გურამ დოჩანაშვილის „ნაწარმოებთა სრული კრებული“ გამომცემლობა „მერიდიანმა“ გამოსცა. პრეზენტაციაზე მოსულ სტუმრებს წიგნის შეძენის, გურამ დოჩანაშვილთან შეხვედრისა და მისგან ავტოგრაფის მიღების საშუალებაც ექნებათ.

გურამ დოჩანაშვილი - ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი ქართველი მწერალი; ლიტერატურული პრემია „საბა“-ს ლაურეატი, ნომინაციაში „ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“.

მისი შემოქმედების მთავარი თემები სიყვარული, სიკეთე, და თავისუფლებისკენ სწრაფვაა. გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოებები ნათარგმნია მრავალ ენაზე. მისი ნაწარმოებები საფუძვლად დაედო ქართულ ფილმებსა და ტელესპექტაკლებს.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიების ბაზარზე
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ ეო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ წარმოდგენილია აზერბაიჯანის და ისრაელის ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B + and B
- ◆ Moody's: B 1 and Ba 3